მართლმადიდებელი ადგილობრივი ეკლესიების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ზეიმში წმინდა სერგის სამების ლავრაში

2021 წლის 8 ოქტომბერს, როდესაც ეკლესია ღირსი სერგის, რადონეჟის იღუმენის, სრულიად რუსეთის სასწაულთმოქმედის ღვთივგანსვენებას იხსენიებს, წმინდა სერგის სამების ლავრის მიძინების ტაძარში საღმრთო ლიტურგია ჩატარდა, რომელშიც ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

საკათედრო ტაძრის სამღვდელთმთავრო მსახურება მოსკოვის სამიტროპოლიტოს პატრიარქის ადგილმონაცვლის კრუტიცკისა და კოლომნის მიტროპოლიტის პავლეს მეთაურობით აღევლინა; მასში მონაწილეობა მიიღეს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებმა ოხრიდის მთავარეპისკოპოსმა იოანემ და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან სერბეთის პატრიარქის წარმომადგენელმა მორავიჩის ეპისკოპოსმა ანტონმა. თანამსახურთა შორის ასევე იყვნენ საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი მოსკოვის საპატრიარქო საყდართან არქიმანდრიტი სერაფიმე (შეიმატოვსკი), მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან ამერიკის მართლმადიდებელი

ეკლესიის წარმომადგენელი დეკანოზი დანიელ ანდრეიუკი.

სადღესასწაულო ღვთისმსახურება სავანის სხვა ტაძრებშიც აღესრულა.

სამების საკათედრო ტაძარში საღმრთო ლიტურგიას მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი დიონისე უძღვებოდა. მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას თანამსახურებდნენ მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველის მოადგილე ზელენოგრადის ეპისკოპოსი საბა და სამების წმინდა სერგის სამების ლავრის წინამძღვრის ადგილმონაცვლე სერგი-პოსადისა და დიმიტროვსკის ეპისკოპოსი თომა.

სატრაპეზოს ტაძარში საღმრთო ლიტურგია მონასტრებისა და მონაზვნობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარემ კაშირის მიტროპოლიტმა თეოგნოსტემ აღავლინა. თანამსახურთა შორის იყო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან ბულგარეთის პატრიარქის წარმომადგენელი არქიმანდრიტი თეოქტისტე (დიმიტროვი).

ლავრის მოედანზე სადღესასწაულო პარაკლისს ეპისკოპოსების და სასულიერო პირების კრებულის თანამსახურებით კრუტიცკისა და კოლომნის მიტროპოლიტი პავლე უძღვებოდა. მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველმა, ვოსკროსენსკის მიტროპოლიტმა დიონისემ უწმინდესი პატრიარქის კირილეს მილოცვა გააჟღერა ეპისკოპოსთა კრებულის, მონასტრის წინამძღვრის ადგილმონაცვლის, მონასტრის ბინადრებისა და მომლოცველებისადმი.

Патриархия.ru/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წმინდა სერგის სამების ლავრის

პრესსამსახურის ფოტოები